სახალხო გაზეთი

№ 289 ხუთშაბათი, 28 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 289

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვიჩა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ!!

მოვაგონებთ ჩვენ ხელის-მომწერთ, რომ 1 მაისიდან, ვისაც ხვედრი ფული შემოტანილი არ ექნება, **გაზეთი აღარ მიუვა.**

„სახალხო გაზეთის" კანტორა.

„სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ქართული თეატრი

შაბათს, 30 აპრილს,

სალიტერატურო გასამართლება

გამმართავს ვალიკო შალიკაშვილი

ჩვენი მხცოვან პოეტის აკაკის დრამატიულ პოემის

თამარ ცბიერისა.

თამარ ცბიერის დამცველებად გამოდიან: თვითონ ავტორი პოემისა აკაკი და ნაფ. ვექ. **ი. მაჭავარიანი.** ბრალმდებლად **ცინცაძე (ია ეკალაძე).** სასამართლოს თავმჯდომარედ ნაფ. ვექ. **გ. ჭავჭავაძე.** ნაფიც-მსაჯულებად **ქართველი მწერლები.** ბილეთ. იყიდება უკვე თეატ. კასაში. **დასაწყ. საღ. 8 ნახ. ს.**

(3—1262—1) ადმინისტრატორი **გ. იორდანიშვილი.**

დაბა ყვირილა.

სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო საქონლისა

მ. გაჩეჩილაძე შვ.-თ.

25 აპრილიდან 5 მაისამდე გაიყიდება იაფად ყველა ის საქონელი, რომელიც წარსულ ზაფხულის სეზონში დარჩა გაუყიდველი.

(3—1246—2)

საბურთალოზე **მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ** ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის.

(წ.—1147—35)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვერტელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ბედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

დგებუაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—1 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ტრემბოვეცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

ხოშთარევსკი ბ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუდაბაშევი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით.

(წ —1089—452)

ექიმი **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში

იღებს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—56)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. ისმაილოვისა ქ. N2.

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი **შ. ა. მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. **კახეთის ქ. ტელეფონი N 816.**

ქართული თეატრი

1 მაისს, საღამოს 8 საათზე, **გაიმართება**

ეკატერინე გაბაშვილის 40 წლის მოღვაწეობის იუბილეი

დაწვრილებით პროგრამებში იქნება გამოცხადებული. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ადრესები და მისალოცი ბარათები უნდა გამოიგზავნოს დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარის, **ქართველიშვილის,** სახელობაზე.

(8—1230—6)

ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერიო კურსები გ. გ. გიგინეიშვილისა.

კურსებზე სწავლა დაიწყება ამა წლის 18 აპრილიდან და გაგრძელდება ათ თვეს. სავალდებულო საგნებია: 1. ბუხგალტერია (უბრალო, იტალიური, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. კალიგრაფია, სწორი წერა. (ხელის გასწორება).

კურსებზე მიიღებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსის დასრულების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

(10—1215 7) კურსების დირექტორი **გ. გიგინეიშვილი.**

ზუბალაშვილების სახალხო სახლი

პარასკევს, 29 აპრილს, სახალხო მუსიკალური საზოგადოება თავის ლოტბარის **პ. პ. ფალიაშვილის საბენეფისოდ** სდგამს ოპერას

კარმენს

მონაწილეობენ: ქ-ნნი პახომოვა, მინკევიჩი; ბ-ნნი: აგასოვი, კოვალსკი, ბროდეცი და სხვა. ბილეთების ფასი 5—80 კ. დასაწყისი საღ. 8 ს.

ლოტბარი **პ. პ. ფალიაშვილი.** ადმინისტრატორი **ი. დოლიძე.**

ანონსი: 6 მაისს აგასოვის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება ოპერა—„**ფაუსტი**" და „**ტრავიატა**". ბილეთები იყიდება. (3—1170—2)

გამოვიდა და იყიდება საყმაწვილო სურათებიანი მოთხრობები ივანე ელიაშვილისა „სამშობლო ბუნების სარკე"

ტფილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. **ფასი 30 კაპ.**

(თვ.—1224—8)

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარეშე ყოველ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N .695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

გ. ს. ხტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ბ. გ. ხოშთარევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606"-ით.

(წლ —1090—48)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (0—1251—94)

ექიმი **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—45

ექიმი **ე. ი. მინასიანცი.**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-მდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—57)

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხეილ ბედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20.

(წ.—1249—6)

ექიმი ქუთაისში, **ს. ი. ვოლოხი**

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლის ჰატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ელექტრონისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შეხავეებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპროვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—48)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 183.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^1/_2$—3 სათ.

ნოვიცვი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უქლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

ხულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვ-ზოროვი. ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ითხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—38)

ექიმი **ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორონის ქ., № 9. (უ)

ტფილისი, 28 აპრილი

საარჩევნო სამზადისი. ჯერ არჩევნები შორს არის, მაგრამ სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები უკვე ამზადებენ ნიადაგს. დღეს სახელმწიფო სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიად ოქტომბრისტების პარტია ითვლება. იგი აძლევდა სათათბიროს მუშაობას მიმართულებას. ვერ ვიტყვით, რომ ოქტომბრისტები პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ისინი ამომრჩევლებს დაჰპირდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებას, მაგრამ დღემდის არც ერთი დაპირება არ განუხორციელებიათ. ოქტომბრისტებმა მიზნად 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება დაისახეს, მაგრამ საქმით ისეთი პოლიტიკა აწარმოეს, რომელმაც ხელი შეუწყო დაპირებულ რეფორმათა განხორციელებას. გავიდა დრო, მაგრამ ოქტომბრისტებმა მთავრობის გული მაინც ვერ მოინადირეს. დღეს ცხადი ხდება, რომ მთავრობა მომავალისთვის ეძებს ისეთს საზოგადოებრივ ჯგუფს, რომელზედაც დამყარება შეეძლება. რამდენადაც რთული და გამოურკვეველი იქნება ეს ჯგუფი, იმდენად უფრო კარგია მთავრობისთვის. რამდენადაც ნაკლებად იქნება დაკავშირებული მომავალ-სათათბიროს ხელ-მძღვანელი პარტია განსაზღვრულ პროგრამასთან, იმდენად უფრო ადვილად შეეძლება მორჩილ სათათბიროს შექმნა.

ასეთს საზოგადოებრივ ჯგუფად კი დღეს შეიძლება ჩაითვალოს ახლად დაარსებული ნაციონალისტური პარტია. ნაციონალისტების პარტიას არავითარი სახელ-მძღვანელო პრინციპები არა აქვს. მას ასაზრდოვებს მხოლოდ ის პირადი ურთიერთობა, რომელიც დამყარდა პარტიასა და მთავრობის ეხლანდელ უმაღლეს წარმომადგენელთან. ამას ძალიან კარგად ხედავენ ყოველნაირ ჯურის ოფიციოზები და ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ავტორიტეტი მოუპოვონ ფართო საზოგადოებრივ წრეებში ნაციონალისტების პარტიას.

როგორ გათავდება ეს სამზადისი, ამას მომავალი გვიჩვენებს, როდესაც ამომრჩეველი კენჭით თავის სიმპატია-ანტიპატიას გამოხატავს, დღეს კი ცხადი ჰხდება, რომ ოქტომბრისტთა პარტიამ, სათათბიროს ხელ-მძღვანელმა, ვერც ფართო საზოგადოებრივ ჯგუფების ნდობა დაიმსახურა და მთავრობის გულიც ვერ მოინადირა. ეს გარემოება კი, თქმა არ უნდა, ოქტომბრისტების პარტიის დიდს განსაცდელს უმზადებს.

ქართული პრესა

„სახალხო საქმე"-ში დაბეჭდილია ბ-ნ დავ. ხართიშვილის ღია წერილი, რომელშიაც გაკვრით ჩვენც გვეხება.

თქვენ, (ამას „სახალხო საქმის" რედაქციას ეუბნება) წერა-კითხვის „ბლოკით" დამთვრალი, —სწერს ბ-ნი ხართიშვილი,—მებლოკეთა გულის მოსაგებად, ბ-ნი გ. რცხილაძის უსაფუძვლო აღშფოთებით შეშინებული, სიჩქარით გამოაცხადეთ, რომ ბ-ნი დ. ხ—შვილის განცხადება არც ერთ ჯგუფის აზრს არ გამოჰხატავდა, რითაც მიეცით მათ მიზეზი ბ-ნ ნ. კურდღელაშვილის შოვინისტურ გაზეთის პირველ გვერდზე მოეყვანათ თქვენი წერილის ის ნაწილი, რომელიც თქვენ მე მიძღვენით, ერჩიათ ჩემთვის ჩემი „აზრების" თანამოაზრე რუს შავ-რაზმელთა ორგანო „გოლოს კავკაზა"-სთვის შემეფარებინა თავი".

ბ-ნი ხართიშვილი, რა თქმა უნდა, გაჯავრებულია და თანაც ჰკუას გვასწავლის, მე რომ ქართველ ხალხის გარუსება მინდოდეს, მას ქართველ ინტელიგენტებს მივაბარებდიო. ბ-ნო ხართიშვილო, თქვენ როგორც გსურდეთ, ისე მოიქეცით, ჩვენთვის კი მაინც ცხადი რჩება, რომ ქართველ მასწავლებელთათვის რუსულ კურსების დაარსება ქართულ კულტურულ დაწესებულების მიერ ძალიან ხელსაყრელი იქნებოდა „გოლოს კავკაზა"-სთვის, რომელიც ურჩევს თავის თანამოზიარებს ქართველების გასარუსებლად ქართულ ენის მცოდნე რუსი მასწავლებლები მოიწვიონ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მაროკოს საქმე დღითი-დღე მწვავდება და მოსალოდნელია საფრანგეთ-გერმანიის ომიც გამოიწვიოს. ამ საკითხს ეხება „უტრო როსიი". მისის აზრით, პოტსდამში მომხდარ რუსეთ-გერმანიის შეთანხმების შემდეგ, საფრანგეთი გერმანიასთან ომის დროს უმეგობროდ, მარტოხელად რჩება და მხოლოდ თავისის ძალ-ღონით უნდა გაუმკლავდეს გერმანიას.

ამავე გაზეთს მოჰყავს ცნობები პოტსდამში მომხდარ რუსეთ-გერმანიის შეთანხმებისა.

ინგლისური გაზეთი „Standard"-ი სწერს, რომ ახალი შეთანხმება რუსეთსა და გერმანიას შორის უკვე **დასრულდა,** მხოლოდ ორთავ მხრით რწმუნებულთა ხელის მოწერა ღა აკლია. იგი ორს ძირითად პრინციპს ემყარება: **მეგობრობა ევროპაში და ურთი-ერთის დახმარება მახლობელ და შუაგულ აღმოსავლეთში.**

„გერმანია და რუსეთი ერთმანეთს პირობას უდებენ, სახელმწიფოთა ისეთს კომბინაციებს მოერიდნენ, რაც შეთანხმებულთ ურთ-ერთისადმი აგრესიულ ზომების მიღებას გამოიწვევდეს. გერმანია აღიარებს, რომ ჩრდილო სპარსეთი რუსეთის გავლენის ფარგალს ეკუთვნის და მას (რუსეთს) უფლება აქვს, სპარსეთის მიერ მიცემულ ყველა სარკინისგზო კონცესიებისა. ჩრდილო სპარსეთში რუსეთის პოლიტიკის დასახმარებლად გერმანია იშოვის თანხას თეირანიდან ხანეკინამდე (ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარია) რკინის გზის გასაყვანად. ამ ლიანდაგისათვის საჭირო თანხას ზოგს გერმანია გადასდებს, ზოგს რუსეთი, გზა კი რუს კონცესიონერთა კონტროლს დაექვემდებარება.

„რუსეთი აღიარებს, რომ გერმანიას, კონცესიის თანხმად, უფლება აქვს ბაღდადის რკინის გზაზე და დახმარებას აღუთქვამს ამ საქმის მოსაწესრიგებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელი კონცესიონერები გაიყვანენ რკინის გზას ბაღდადიდან ხანეკენამდე (სპარსეთის საზღვარზე), რათა იქ შეუერთდეს რუსეთ-გერმანიის ლიანდაგს ხანეკენიდან- თეირანამდე და აგრეთვე სხვა ლიანდაგებამდე, რომელსაც რუსი კონცესიონერები გაიყვანენ ჩრდილო სპარსეთში“..

თუ „Standard“-ის ცნობები მართალია, თუნდაც უმთავრეს მუხლებში, მაშინ უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ მთელი ეს გზა (თეირან-ბაღდად-ხანეკენი) გერმანელებისა იქნება და რუსეთმა გერმანიის ყოველ დაჩემებას უნდა ხელი შეუწყოს ბაღდადის რკინის გზის ფარგალში; ხელი უნდა შეუწყოს გერმანულ საქონლის შეზიდვას ჩრდილო სპარსეთში და სხვა.

სამაგიეროდ რას ღებულობს რუსეთი? ჩრდილო სპარსეთში თავის აუცილობელ უფლებათა აღიარებას! ჩვენი ინტერესები და უფლებანი ხომ ჩინებულად იყო უზრუნველყოფილი ინგლისთან შეთანხმებით.

გერმანიასთან შეთანხმება კი მეტად მაზარალებელია ჩვენთვის, რადგანაც სპარსეთში ახალსა და ძლიერს მოქიშპეს (გერმანია) გვიჩენს; ამასთანავე ეს შეთანხმება ინგლისს ჩვენზე გულს ააყრევინებს..

ამისთანა „შეთანხმებას დიდის სისხლის ღვრის შემდეგ გამარჯვებული ქვეყანა, დაბეჩავებულ, დაჯაბნულ ქვეყანას უკარნახებს ხოლმე. ასეთ „შეთანხმების“ პირობებს გულ-ზვიადმძლეველი მოითხოვს, მის ფეხ-ქვეშ განრთხმულ გათახსირებულ-დამცირებულ მოპირდაპირესაგან...

ამასთანავე ეს შეთანხმება საბოლოვოდ გადაგვკიდებს საფრანგეთსა და ინგლისსაც“...

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ** მიიღო ამ დღეებში გენ.-მ. თავ. ვლადიმერ ათანასეს ძის მაყაშვილისაგან ძღვნად რამდენიმე საინტერესო ნივთი. ამათ შორის ყურადღების ღირსია მეტადრე ნუმიზმატიური კოლექცია, რაოდენობით თუმცა მცირე, მაგრამ კარგად ნარჩევი. ამ კოლექციაში მოგროვილია კარგად შენახული და იშვიათი თეთრი და შავი ფული: არაბული, სპარსული, ბერძნული, ვიზანტიური, სომხური, რუსული და სხვა. რუსულს ფულებში არის ერთი შესანიშნავი შაურიანი **1727** წლისა, სოფ. ქუბაჩაში, დაღესტანს, ნაპოვნი. ადგილობრივის ზეპირ-გადმოცემით ამ ფულის გამოჭრის ნება მიუცია „ქუბაჩელებისთვის იმპერატორს პეტრე პირველს, დარუბანდში ყოფნის დროს.

ვლ. მაყაშვილის ნაჩუქს იარაღში საინტერესოა კიდევ ერთი ნაჯახი, ისიც დაღესტნური. ეს არის შამილისეული ნაჯახი, თავის მოსაკვეთი. დაღესტნის მრისხანე იმამს, ხალხში გამოსვლის დროს, ყოველთვის ახლდა ჯალათი ნაჯახით შეიარაღებული, როგორც სიმბოლო ხელმწიფებისა.

◆ **ახალი წიგნები**. რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: 1) „დავით კლდიაშვილის მოთხრობები“-ს პირველი და მეორე ტომი, გამოცემა მ. კალანდაძისა. თითოეული ტომი 75 კაპ ღირს. გამოცემულია სუფთად და შნოიანად. 2) „ლევ ტოლსტოის მოთხრობები“, გამოცემა ამხ. „ცისკარი“-სა. წიგნი შაურად ღირს.

◆ **ნებადართული პიესა**. ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის სცენებზე წარმოადგინონ ქართულად ჟულავსკის პიესა „ეროს და ფსიხეა“, თარგმანი ბაბილინასი.

◆ **ტფილისის ფუნიკულერი** პირველ მაისიდან დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე იმუშავებს.

◆ **ახალი ბაღი**. ქალაქის საბჭოს მომავალ კრებაზე, სხვათა შორის, განსახილველად წარედგინება საკითხი ვაკეზე ბაღის გაშენების შესახებ.

◆ **სახალხო სახლი**. შაბათს, 30 აპრილს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „მსხვერპლი“, დრამა 3 მოქ. გედევანიშვილისა. რეჟისორობს ბუდუ მდივანი. ადგილების ფასი 5—50 კაპ.

◆ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ სპარსეთის **მინისტრის სანიუდ დოუვლეს მკვლელი ქართველები** გემით თეირანიდან ბაქოში მოჰყავდათ. გზაში ერთი მათგანი გემიდან ზღვაში გადავარდნილა და დამხრჩვალა.

◆ **ჩხრეკა რედაქციაში** გუშინ, 27 აპრილს, შუადღისას, 12 საათზე პოლიციელნი მაძებარ პოლიციის აგენტებსა და ჟანდარმთა მეთაურობით ქართულ გაზეთის „ცხოვრების საქმის“ რედაქციაში მივიდა და დაწვრილებით გასჩხრიკა. ჩხრეკამ ნაშუადღევის 3 საათამდე გასტანა. წაიღეს დიდძალი სარედაქციო მასალა.

◆ **ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა** მადლობა გადაუხადა ტფილისის პოლიცმეისტერს იმ წესრიგის გამო, რომელიც დაიცვა ქალაქის პოლიციამ მუხრანის ხიდის კურთხევის დროსაო.

◆ სომხეთა ახალგაზდა ჟურნალისტს ბ-ნ **არტემიუსს ქართველ და სომეხ მწერალთა დახმარებით სალიტერატურო საღამოს გამართვა განუზრახავს**. ბ-ნ არტემიუსს სურს ერთმანეთს გააცნოს ქართველებისა და სომხების ლიტერატორები და ჟურნალისტები. საღამოს წმინდა შემოსავალი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გადაიდება.

◆ **მეწველ საქონლის გამოფენა.** მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა 500 მანეთი მისცა კავკასიის სასოფლო საზოგადოებას ბორჩალოს მაზრის სოფელ ვორონცოვკაში მეწველ საქონლის გამოფენის გასამართავად.

◆ **გადასახლებული**. 25 აპრილს ტფილისში შეიპყრეს მიხეილ კაზიევი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ 26 აპრილს ტფილისში შეიპყრეს 44 უპასპორტო.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **სამეურნეო საზოგადოებაში.** 26 აპრილს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება მოჰხდა, რომელმაც მოისმინა ა. ქალანთარის მოხსენება ტფილისში უმაღლეს სასწავლებლის გახსნის საჭიროების შესახებ და მოიწონა. ამას გარდა დაადგინა: აცნობოს კავკასიის ნამესტნიკსა და აგრეთვე საუწყებათაშორისო თათბირს, რომ სამეურნეო საზოგადოება მხურვალე მსურველია ტფილისში უნივერსიტეტის ახლოვ გახსნისა.

◆ კავკასიის მიწად-მომქმედი და მიწად-მომწყობი სამმართველოს გამგის რწმუნებულის სადგომში 29 აპრილს საღამოს $7^1/_2$ საათზე მოხდება კრება რუსეთის მებაღეობის საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. მოხსენებას წაიკითხავენ: 1) ი. ა. ზუკრაჩერი—თემაზე: „დუშეთის სატყეო დაწესებულებასთან არსებული ხეხილის სანერგე“. 2) ა. როლლოვი—„ვაზის ახალი მტერი კავკასიაში“. შემდეგ აჩვენებენ ხილის ნიმუშებს. დასწრება ყველას უფასოდ შეუძლია.

◆ **სამკურნალო საზოგადოებაში.** 26 აპრილს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოჰხდა, რომელმაც წარსულის წლის ანგარიშის განხილვის შემდეგ უცვლელად დაამტკიცა 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვა (4,010 მან.). დასასრულ თანამდებობის პირთა არჩევნები მოჰხდა.

სასამართლო

◆ **რედაქტორის საქმე.** 26 აპრილს ტფილისის სასამართლო პალატამ გაარჩია გაზეთ „სინათლის“ რედაქტორ ივანე პავლეს ძის როსტომაშვილის საქმე. მას ბრალად ედებოდა მთავრობის საწინააღმდეგო წერილების დაბეჭდვა. სამართალში მიცემული იყო სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით. სასამართლომ ბ-ნი როსტომაშვილი უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა.

◆ **ტფ. ოლქის სასამართლოს სესია**, რომელიც ახალციხეს იყო წასული, უკვე დაბრუნდა ტფილისში.

სომხების ცხოვრებიდან

◆ მანთაშევის შვილები გუშინ დილის მატარებლით პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვიდნენ. გარდაცვალებულის მანთაშევის გვამს დღეს საღამოს მოასვენებენ.

◆ სომხეთა სამეურნეო საზოგადოებას ცნობილ აგრონომის ა. ქალანთარის წინადადებით გადაუწყვეტია, ზაფხულში კავკასიის სხვა და სხვა ადგილებში სარწყავ არხების გაყვანის შესახებ ლექციები გამართოს.

◆ როგორც დარწმუნებით გავიგეთ, მანთაშევს საქველმოქმედო მიზნით (სომეხთა სამრევლო სკოლებისათვის), **200,000** მან. დაუტოვებია.

◆ **უხვი შეწირულება**. ნახიჩევანის მცხოვრებს ა. ბ. არუთინოვს თავისი სახლი და ადგილი, რომელიც არმავირში აქვს და ჰღირს 200,000 მანეთად, შეუწირავს ნახიჩევანში დაბალ სამეურნეო სასწავლებლის დასაარსებლად.

კავკასიის რკინის გზაზე

◆ სადგურ შორაპანში კინაღამ უბედურება არ მომხდარა. 26 აპრილს ორთქლმავალის მემანქანის თანაშემწე რომან პორეპადენკო ორთქმავალის ვარჯიშობას ახდენდა, ორთქმავალი უკან უნდა დაებრუნებინა, მაგრამ გასაჩერებელი ბერკეტის (რიჩაგი) გადაბრუნების მაგივრად უკან დასახევი ბერკეტი გადასწია. ბერკეტი უეცრად ამოვარდა ბუდიდან, მოხვდა მას მუხლზე და ძლიერ დააშავა. დაშავებული საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ქუთაისი

◆ **ქუთაისის ქართულ გიმნაზიის** გამგემ ბ-ნმა ი. ოცხელმა გიმნაზიის მზრუნველ კომიტეტში განცხადება შეიტანა, საქმის გართულების გამო სამსახურს თავს ვანებებო.

ბაქო

◆ **ხორცის სიძვირე.** უკანასკნელ ხანს ხორცი მეტად გააძვირეს. ცხვრის ხორცს ხანდახან 40 კაპ. ჰყიდიან, ხოლო ძროხის ხორცს—20—22 კაპ. დაწესებულ ნიხრზე არავინ ვაჭრობს.

პროვინცია

◆ **ხაშურში მოტაცებულ გიმნაზიელის განთავისუფლება.** 25 აპრილს ხაშურის მახლობლად პოლიციელთ ყაჩაღების ხელიდან გაუნთავისუფლებიათ აღდგომის კვირაში მოტაცებული ვაჭრის შვილი—გიმნაზიელი არუწოვი.

◆ **სოფ. ხეითში** (გორის მაზრა) გამოურკვეველ მიზეზებისა გამო ცეცხლი გაუჩნდა პოდპოლკოვნიკის ქვრივის დარია ხეთაგურის ორ-სართულიან სახლს, რომელშიაც წყლის წისქვილი იყო. სახლი ერთიანად გადაიბუგა. ზარალი 15 ათას მანეთს აღემატება.

◆ **სოფ. კარალეთის** (გორის მაზრა) მცხოვრების ალექსი შაქულაშვილის ცოლი საბძელში შესულა და დაუდევრობის გამო ასანთის ნაწვავი იქვე ბუჩქში ჩაუგდია. მალე საბძელი გადამწვარა და აქედან ცეცხლი სხვა შენობებზე გადასულა. ზარალი ათას მანეთს აღემატება.

ჟურნალისტის დღიური

18

დრამატიული საზოგადოება.

ავად თუ კარგად, დრამატიული საზოგადოების გამგეობამ სეზონი დაასრულა. მსახიობები გაიფანტ-გამოიფანტნენ, უფრო დაიქსაქსებიან საზაფხულოდ, როდესაც საზოგადოება სააგაროდ წავა სოფლებში. კარგი იყო, გამგეობას რომ, მსგავსად ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა, გაზაფხულის სეზონიც გაეგრძელებინა, მაგრამ, რახან ეს არ მოხდა, ალბად შეუძლებელიცა ყოფილა. წარსულმა სეზონმა, ჩვენის აზრით, კარგად ჩაიარა, მაგრამ მას ბევრი ნაკლულევანებანიც ჰქონდა. ამ ნაკლულევანებათა თავიდან ასაცილებლად, გამგეობა ეხლავე უნდა შეუდგეს სამზადისს. დღესვე უნდა გამოარკვიოს გამგეობამ მომავალ სეზონის მოქმედების გეგმა და შეადგინოს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. ამისათვის კი უპირველესად ყოვლისა უნდა დამზადდეს წარსულ წლების ანგარიში და მოწვეულ იქმნას წევრთა საზოგადო კრება. ზაფხულში შეუძლებელი იქნება კრების მოწვევა. შემოდგომაზე გამგეობა უკვე უნდა შეუდგეს მოქმედებას, თანახმად განსაზღვრულ ხარჯთ-აღრიცხვისა. ეს კი მოხერხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეხლავე დაიბეჭდა ანგარიში, გამოირკვა სრული სურათი წარსულ სეზონისა როგორც ქონებრივის მხრით, ისე შინაარსისა.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს დრამატიული საზოგადოების გამგეობამ ანგარიშის დროზე გამოქვეყნებას, რადგანაც ეს რამდენიმე წელიწადია ამ საზოგადოების ანგარიშები არ დაბეჭდილა. წარსული სეზონი ნორმალურად მიმდინარეობდა, ამიტომ ამის სურათი მაინც უნდა მოგვცეს გამგეობამ, რაც შეიძლება მალე.

სოფლის მეგობარი

(მოთხრობა*)

ავჭალის ქუჩაზე, ერთ დიდ შენობის ქვემოთა სართულში, სადაც მზის სხივი დღეში მხოლოდ რამდენისამე საათით ჩაიხედავს ხოლმე, ნესტიან, ჭუჭყიან ოთახში, პატარა სტოლის წინ ზის ნინო და ამ იშვიათ სტუმარ სხივისათვის მიუჩერებია თვალები; საოცარის მწუხარებითა და ჭმუნვით არის სავსე ეს მშვენიერი თვალები; მათი პატრონი თუმცა არ სტირის, თუმცა ცრემლებით არ შებყრვილა ეს ნაზი თვალები, მაგრამ უაღრესის მწუხარების გამომხატველი კი არის. ნინოს თვალებში ის სასტიკი მწუხარება იხატება, როდესაც ტირილს აღარ ძალუძს გულის კვნესა გამოსახოს და თავისი ანკარა მარილიანი ცვარებით ადამიანს სევდა მოჰბანოს, წყლულები შეუმშვიდოს; პირ-იქით ეს სასტიკი, სასოწარკვეთილ თვალების გამომხატველება სუყოველთვის კაცის სიცოცხლეს დამსხვრევას და განადგურებას უქადის. კაცის მწუხარებას, ამ ზომამდე ასულს, ცრემლი აღარ მოეპოვება, გონება უჩლუნგდება, უბათილდება, მისი არსება მთლად ქვავდება, იყინება.

ნინო ორმოცდა ხუთის ან ორმოცდა შვიდის წლის დედა-კაცია; ერთად-ერთი მიმზიდველი, ერთად-ერთი სამკაული ამის უდროოდ დამჭკნარ მშვენიერებისა, მხოლოდ ეს ორი შავი თვალია, და მერე რა თვალი! ვის ძალუძს აწეროს ამათი ეშხი, ამათი სიმშვიდე, ამათი სიღრმე, ამათი სხივოსნება? ამათი მიმზიდველობა იქამდე ძრიელია, რომ დღეს, როდესაც ნინოს სხვა არავითარი არც ხორციელი და არც სულიერი სიმდიდრე აღარ შერჩენია, მარტო ამ თვალებს ძალუძს გამოიწვიოს სიბრალული და შეწყნარება, სიყვარული და თითქმის პატივისცემაც თავის პატრონის უდროოდ დაბერებულის, ფერუმარილით შეღებილის, პირისახისადმი. დიახ, ნინოს ფერ-უმარილი უსვია, თმები, აქა იქ ჭაღარა შერთული თმები, კეკლუცად აქვს მხრებზე გადაყრილი, გახუნებული და ბელეგმად შეკერილი კაბა, რაღაც მხიარული სარტყლით აქვს დამშვენებული და ასეა გამოპრანჭული თითქო სტუმრის მოლოდინშია, და სწორედ ეს მოლოდინია ამის სასტიკ, სიკვდილის მგზავს მწუხარებისა; ეს მოლოდინი ის უკანასკნელი ნაბიჯია, რომლის შემდეგ დედა-კაცი, თუ იმას, რასაკვირველია, ცოტა ოდენი ადამიანური გრძნობა კიდევ შერჩენია, ჰკარგავს ყველაფერს, რასაც კი ქვეყანაზე ფასი აქვს, რაც კი ადამიანს ძალას აძლევს სიცოცხლის ატანისას; ჰკარგავს თავმოყვარეობას, ღირსების დაცვას და სამუდამოდ უფსკრულში ვარდება, ინთქმება და ნადგურდება.

ნინომ ამ მოსვლაზე წუხილის თანხმობა წარმოსთქვა და ამ თანხმობის შემდეგ გაქვავდა, გაშრა, უგრძნობელად შეიქნა და თუმცა სიკვდილის მაგგვარ ტანჯვას ჰგრძნობდა, მაგრამ სიტყვის უკან წაღების ილაჯი აღარ ჰქონდა, ყოველი მოქმედება მისთვის შეუძლებლად შეიქმნა.

აი კარს ვიღაც აკაკუნებს. ნინოს თმები მაღლა წაუვიდა, სახე მოეღმიჭა, თვალები დახუჭა, მარჯვენა ხელით გულის პირი მოიბღუჯა და მარცხენით მაგიდას დეეპჯანა, რომ მოცახცახე მუხლებს არ ემტყუნათ და არ წაქცეულიყო.

კარი ნელ-ნელა გაიღო და ოთახში ფეხ-აკრეფით შემოვიდა გიქო მელქუნოვი, სერთუკიანი, სურნელოვან წყალ-ნასხურები, დახუჭუჭებული ბაზასხანის ვაჭარი, დარდიმანდი გიქო, ტოლ-ამხანაგებში ლამაზ ბიჭად ცნობილი.

ნინოს შეხედულობა ისეთი შესაზარი და ისეთი უზომო ტანჯვით იყო მოცული, რომ გიქო კედელს მიეკრა, პირზე დარცხვენის ღიმილი გამოესახა და ხმის კანკალით წაილუღლუღა:

— მიწყრები, კნეინაჯან! რა ვქნა რომ მიყვარხარ, შენი თვალების ყმა ვარ!

ნინო დატორტმანდა, ეხლა გულზე მეორე ხელიც წაივლო და თითქო ის იყო სულის გატევებას აპირებდა:—კმარა... კმარა... ხმა აღარ ამოიღო... ხმა...—დაიღრიალა იმან და თავში ხელი იტაცა:

— თავი! ოხ, თავი... გასკდა თავი...

— ვა, ეს რა ჭირია! მე ხომ ძალით არ მოვსულვარ, შენი ნება არ იყო? კეკლუცამ მითხრა...

— წადი, წადი, თვალით არ დამენახვო... ჩქარა წადი, თორე დავიხრჩობი, გული გამეპობა, თავი გამისკდება... წადიიი! მეფურის ხელის გაშვერით კარზე მიუთითა სტუმარს.

გიქო უკან-უკან წავიდა, კარებთან შეჩერდა და საზიზღარის ღიმილით წარმოსთქვა:—მაშ, კნეინჯან, ჩემი ფულები უფრო გესიამოვნა, წუხელის რომ ჩაიბარე?!

— ფულები?.. ფულები... ჰო, ჰო... აი დაიბრუნეთ, მე ეს მწვავს... ცეცხლს მიკიდებს... წაიღეთ ჩქარა, წაიღეთ...

გიქომ საჩქაროდ აკრიფა იატაკზე გაბნეული ასიგნაციები, კარი გამოაღო, შიგ ჩადგა და რომ ყველა მეზობლებს გეეგონათ იქიდან შემოსძახა:

— საწყალი, ბებრუხუნა, კიდეც რომ ინაზება, აპრუწუწუნ შენ კნეინობას, მაჩანჩალავ! თქვენი მასხარა, კოტრი ლევანები გვჯობიან? გლახა ამპარტავნებო! მე წავალ, მაგრამ შენ სეირს კი ქვეყანას უჩვენებ, ბებერო ბოზ...

— ღმერთო, ღმერთო! ერთი საშინლად შეჰკივლა ნინომ და გულ-შეყრილი, მოჭრილ ხესავით, იატაკზე დაეცა.

II

შობის წინა დღეა. ქალაქი ტალახითაა სავსე, შეუწყვეტავი თოვლჭყაპი მოდის, ქარი მძლავრად ზუზუნებს; რომ იტყვიან, ძაღლი არ გაიგდება კარზე. ნინოს პატარა ოთახს ჩვეულებრივი უგემური ფერი აღარ აძევს, გარშემო შესანიშნავი სისუფთავე და სიფაქიზეა, პატარა ბუხარში ცეცხლი მხიარულად გუზგუზებს. ბუხრის მახლობლად სავარძელში ვიღაც ყმაწვილი ქალი ზის და წიგნსა კითხულობს. ბუხრის მეორე მხარეს, სუფთა საწოლზე, გადასვენებულია თითონ ნინო, თვალები დახუჭული აქვს. ვინ იცნობს ამ ნინოში იმ ნინოს, რომელსაც ამ სამი კვირის წინად უცნაური სტუმრის წვევით, გულს შემოეყარა; დღეს ეს ნინო იმ ნინოსი ნაშთია, აჩრდილი!

ანკი რაღა უნდა იყოს ნინო დახუჭულის თვალებით!

მოკლედ შეკრეჭილი თმა მთლად გაჭაღარებული აქვს, თვალები მუშტის სიდიდეზე ჩასცვენია, პირისახეზე მწვანე ტყავი ღა აკრავს: მხოლოდ ოდნავი სუნთქვა ღა მოწმობს, რომ ამ განადგურებულ გვამში სული კიდევ ჰფეთქავს და სხვა ყოველი სიცოცხლის ნიშან-წყალი მიჰქრობია. ნელი კარის რაკუნი მოისმა. სავარძელში მჯდომი ქალი წამოხტა, თმები გაისწორა, დაღალულ, ფერმიხდილს სახეზე ხელი გადაისვა, ავადმყოფს ლოგინი გაუსწორა და კარები გააღო.

— როგორ არის?—წყნარის ხმით ჰკითხა ექიმმა ყმაწვილ ქალს.

— ისევ ისე უგრძნობლივ წევს, თუმცა სუნთქვა უფრო მოსვენებული აქვს და აღარც შფოთავს. ახლა თითქო სძინავს, თუ თქვენც დამემოწმებით.

— ღმერთია მოწყალე, ღმერთი, მალე თქვენ ტანჯვას ბოლო მოეღება. იმედია დღეს-ხვალ კნეინა გონზე მოვა და შემდეგ მალე გამობრუნდება.

— ღმერთმა ჰქმნას... მე მეტი აღარ შემიძლიან, ღონე აღარა მაქვს...

იმდენი მწუხარება იყო ყმაწვილი ქალის სიტყვებში და ისეთი სისუსტე იმის ხმაში, რომ ექიმი საჩქაროდ მიუახლოვდა და მაჯის შინჯვა დაუწყო, შემდეგ მისი გულისცემა მოისმინა და გაოცებული შეჰყურებდა ყმაწვილ ქალს.

— ნეტა რა უნდა იყოს თქვენი ამგვარ სისუსტის მიზეზი? შიში, მწუხარება დედა თქვენის მდგომარეობის გამო, თუ თქვენ განგებ არაფერსა სჭამთ, არაფერსა სვამთ? ღამე სრულებით არა გძინავთ?

— დედა ჩემისა? განა თქვენ კნეინა ნინო დედა ჩემი გგონიათ? განა თქვენ არ იცით, რომ მე ეგ იმ დღეს, რა დღესაც გული შემოეყარა, პირველად ვნახე?

— როგორ თუ პირველად! რას ბრძანებთ? სამი კვირეა დღე და ღამ თავს ევლებით, აი თითქმის ნახევარი ჯანმრთელობა შესწირეთ ამის მოვლას და არ იცნობთ. უკაცრავად კი ვარ, მაგრამ აქ თქვენ გულწრფელობაში ეჭვი შემდის.

— რისთვის? განა თქვენ კი იცნობდით ამ უბედურს ავადმყოფს იმ წამამდე, როდესაც თქვენ შემთხვევით მოგიხმეს საშველად?

— არა, მაგრამ, მე ექიმი ვარ, ეგ ჩემი პირდაპირი მოვალეობაა, რომ ავადმყოფს დავეხმარო!

— მოვალეობა! — მწარის ღიმილით სთქვა ქალმა — მოვალეობა მარტო ექიმსა აქვს და სხვას კი არავის? უპატრონო, უბედური დედა-კაცი ვის ეკისრნა, თუ არა ისევ უპატრონო და უბედურს დედა-კაცს. პირველში, კაცთმოყვარეობამ გამიტაცა და თავს ვიდე ამის მოვლა და ის კი ველარ ვიანგარიშე, ვერ გავზომე ჩემი ღონე, შემეძლო ბოლომდინ გამეტანა თავი, შემწევდა ძალა თუ არა..- შუა გზაზე გაჩერება მარცხვენს, მაგრამ აღარ შემიძლიან.. გროში აღარა მაქვს... ორი დღეა არაფერი ჩასულა ჩემ პირში... შეშა გამომელია... ნავთი...

ქალი სრულიად უღონოდ, ცრემლებით სავსე თვალებით, დეეშვა სავარძელში.

— ღმერთო, ღმერთო! ეს რა მესმის, გაოცებული იძახდა ექიმი და გადი-გამოდიოდა ოთახში: თითქო ქვეყანაზე აღარ მოიპოვებიან წმინდანნიო, თითქო კაცთმოყვარეობა ცარიელი, უაზრო სიტყვებიაო!.. მაგრამ რეებს ვბოდავ!

— თქვენ გშიათ, გწყურიათ იტანჯებით!..

ექიმი საჩქაროდ გავარდა ოთახიდან.

---

*) მომავალ იუბილეს გამო ვბეჭდავთ პატივცემულ ავტორის დაუბეჭდავს და ჯერ დაუმთავრებელ მოთხრობას. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდევრობამ ბევრს ჩვენს საქმეს გამოუთხარა ძირი, ამიტომ მას დრამატიულ საზოგადოებაში ნუ გავამეფებთ.

შანაური.

ქუთაისის ავ-კარგი

ყველა ერთნაირად გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ ქართული გიმნაზიის მოჭირნახულე გამგემ ბ-მა იოსებ ოცხელმა ამავე გიმნაზიის მზრუნველ კომიტეტში განცხადება შეიტანა, საქმის გართულებისა გამო სამსახურს თავს ვანებებო.

ისეთი დიდი სასწავლებლის მართვა-გამგეობა, როგორიც ქართული გიმნაზიაა, მართლა დიდი და პასუხ-საგებელი საქმეა, მაგრამ ეს სირთულე ახალი ხილი არ არის ბ-ნი ოცხელისთვის, რომ ეს და მარტო ეს გამხდარიყოს ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილობის მიზეზად; გიმნაზიამ უფრო ძნელი და უფრო საშინელი დრო განვლო ბ-ნი ოცხელის ხელში და ამ უკანასკნელის ტაქტის წყალობით ბევრს განსაცდელს დააღწია თავი. ეხლა რაღა მოხდა?

აი ეს კითხვა აკერია ყველას პირზე, ვინც გიმნაზიის უკანასკნელი ორი წლის ცხოვრების ამბავი არ იცის.

გარეგნულად საქმე წესიერად მიდის. მოსწავლეთა რიცხვი თუ არ მატულობს, დაკლებით არა აკლდება, სწავლა წესიერად მიდის, მასწავლებლები, რამდენადაც ძალა შესწევთ, პირნათლად ასრულებენ საქმეს. მაშ რა არის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი?

ამ კითხვის გამოსარკვევად მივმართე თვითონ პატივცემულ ბ-ნ ოცხელს, რომელმაც ჩვეულებრივი თავაზიანობით მიმიღო და ჩემს კითხვაზე შემდეგი პასუხი მომცა:

— რაც გიმნაზიამ განიცადა ამ ორი წლის განმავლობაში, ეს გარეშეთათვის თვალსაჩინო არ არის, მაგრამ ძირეულად შეარყია მისი ცხოვრება,— მითხრა ბ-მა ოცხელმა.

— როცა პირველად მომიწვიეს ამ ადგილზე, გიმნაზიის პირდაპირი პატრონი თავ.-აზნაურობა და მისგან არჩეული მზრუნველი კომიტეტი, არაფერსა ზოგავდა, რომ მოთხოვნილებანი, რომელნიც მიმართულნი იყვნენ სასწავლებლის გაფართოვებაზე თუ განკარგებაზე, დაუყონებლივ შესრულებინათ. ეს მე მამხნევებდა და არაფერსა ვზოგავდი, რომ საქმე სწორსა და უტყუარ გზაზე დამეყენებინა. განვლო ხანმა; ის კაცები, რომელნიც მზრუნველ კომიტეტს შეადგენდნენ, გამოიცვალნენ; არც ახალი კომიტეტის მოღვაწეობის პირველ ხანაზე მეთქმის რამე, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ დღესაც არ არის გამოკვლეული გიმნაზიისა და მზრუნველი კომიტეტის დამოკიდებულობა. მაგრამ ეს იმასთან შედარებით წვრილმანია, რაც უკანასკნელ ხანებში ხდება.

— თქვენც იცით,—განაგრძო ბ-ნმა ოცხელმა,—რომ ჩვენ სასწავლებელში ამ ჟამად არიან ისეთი მასწავლებელნი, რომელთაც ჩვენი საზოგადოების სამსახურში გაატარეს 30 წელიწადი და ზოგმა მეტიც. აბა თუ დაფიქრებულა ვინმე, რა მოელის ამათ, როცა 2—3 წლის შემდეგ სამსახურს ძალაუნებურად თავს დაანებებენ. ვცადე პენსიის საქმე მომეწყო; ერთი ხანი ხელიც მომიმართეს ჩვენმა მზრუნველებმა და მერე კი ეს საყურადღებო საქმე მივიწყებას მისცეს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ შემთხვევითა ვსარგებლობდი, მომეგონებინა მათთვის, რომ უსამართლობაა, თუ იმ მუშაკთა, რომელთაც თავისი სიცოცხლე ჩვენს სასწავლებელს შეალიეს, სიბერეში მაინც არ დავეხმარებით. ჩემმა ცდამ და მოგონებამ უნაყოფოდ ჩაიარა და პენსიის საქმე იმავე მდგომარეობაშია, როგორშიაც სკოლის დაარსებისას იყო.

— მაგრამ დავანებოთ თავი ამას და ვნახოთ, რა მდგომარეობაშია დღეს გიმნაზია,—ბრძანა ბ-ნმა ოცხელმა. თქვენ უკვე იცით, რომ მთავრობის მიერ დანიშნული ბანკის გამგეობის თავმჯდომარეები, ცხადად რომ ვერაფერს გვაკლებდნენ, ფარულად ახერხებდნენ საქმეს ისე, რომ ჩვენი სასწავლებელი განსაცდელში ჩაგვდოთ. დავიწყებული არ გექნებათ ის, რომ ბ-ნი ერემეევის წყალობით ფინანსთა მინისტრმა აუკრძალა ბანკის გამგეობას არა თუ ავანსების ძლევა გიმნაზიის შესანახად, მოგებაც, თუ იგი იქნებოდა, ზარალის გასასტუმრებლად მოხმარებულიყო. ეს ამბავი შარშან მოხდა და მას აქეთ დღითი-დღე მწვავდება ჩვენი დაწესებულების მდგომარეობა.

ვიდრე შესწყვიტავდნენ ბანკიდან ფულის ძლევას, ყოველი მიღება ფულისა ნამდვილი წამება იყო; ამას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ ბანკიდან გაღებული ფული იმდენი ყოფილიყო, რომ ჩვენ საჭიროებას ჰყოფნოდა. ჩვენ იძულებული შევიქენით სწავლის გადასახადი 20 მანეთით გაგვედიდებინა შარშანდელს აქეთ.

— თქმა ამისი თითქოს ადვილია, მაგრამ, აბა, თქვენ თითონ წარმოიდგინეთ, რას გამოიწვევდა ჩვენ ღარიბ და ლატაკ მოსწავლეთა შორის 50 მ. შემოტანა ყოველ წლიურად სწავლის ფულად. შარშან იმ იმედით, რომ ბანკი ფულს მოგვცემდა, დაახლოვებით 20 პროც. მოსწავლეებისა გავანთავისუფლეთ ამ გადასახადიდან, მაგრამ დანარჩენებს იმდენად გაუჭირდათ საქმე, რომ ზოგმა სულ მიატოვა სწავლა და ზოგიც თვეობით არ დადიოდა კლასში, რომ სწავლის ფული მოეპოვებინა რაიმე საშუალებით. დიდი ფიქრი არ უნდა იმას, რომ კაცმა ადვილად წარმოიდგინოს რა მოჰყვებოდა ამას შედეგად—სწავლა ნორმალურად ვეღარ სწარმოებდა; დღეს რომ კლასში ერთი ჯგუფი იყო, ხვალ— სხვა, და ამ გაჭირვებაში გავატარეთ შარშანდელი აკადემიური წელიწადი. ახალი თუ უარეს არა, უკეთეს არას გვიქადდა. ჯერ ის მიიღეთ მხედველობაში, რა უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდით, როცა ძველმა სახლის პატრონმა ბინაზე უარი გვითხრა და ახალი შენობა მზად არ იყო. წარმოუდგენელია ის განსაცდელი, რომელიც თავზე დაგვატყდა, ვიდრე ახალ შენობაში მოვეწყობოდით.

თითქმის გადაუვალი სიძნელე დავძლიეთ, შენობა ავია თუ კარგი მოვაწყეთ, და როგორც ჰხედავთ, არც ისე ცუდათა ვართ მოწყობილი, მაგრამ ამ გაჭირვებას რომ დავაღწიეთ თავი, სხვა უფრო ძნელი და სასტიკი დაგვატყდა თავზე—ბანკმა ფულის ძლევა მოგვისპო; თავად-აზნაურთა წინამძღოლების სხვა და სხვა კომბინაციებმა, რომ ბანკიდან ფული მიგვეღო გიმნაზიის შესანახად, უნაყოფოდ ჩაიარა და გიმნაზია ყოვლად უიმედო მდგომარეობაში დარჩა.

ბანკი ფულს არ იძლევა, თავადაზნაურობას არავითარი საშუალება არ მოეპოვება და კიდევაც რომ შესძლებოდა გამოძებნა, ვერ მოახერხებდა, რადგან დღესაც არ არის დამტკიცებული მათგან არჩეული გუბერნიის მარშალი; სამზრუნველო კომიტეტი, რომელსაც იგივე მარშალი თავმჯდომარეობს, თითქო თანაგვიგრძნობს და მზად არის დაგვეხმაროს, მაგრამ თანაგრძნობა და სურვილი დახმარებისა ერთია და სულ სხვაა რეალური დახმარება, და სწორედ ამას ვერ ვხედავთ არავის მხრით.

წლიური, აუცილებელი ხარჯი გიმნაზიისა 70 ათასი მანეთია და ეს იმ შემთხვევაში, როცა ჩვენი მასწავლებელი თუ მეტით არა მესამედზე ნაკლებ ჯამაგირს იღებს ვიდრე მისი კოლეგა მთავრობის გიმნაზიაში; თუმცა არიან ისეთნი, რომელნიც გვიკიჟინებენ, ჩვენი მასწავლებლები დიდ ჯამაგირს იღებენო.

სად ვიშოვოთ ეს 70 ათასი მანეთი? თუ ჩვენს იმედებს სწავლის გადასახადზე დავამყარებთ, მაშინ გიმნაზიის უდიდესი შემოსავალი უნდა ვიანგარიშოთ 50—55 ათასი მანეთი. ეს იმ შემთხვევაში, თუ ყველა გადაიხდის ფულს, მაგრამ გეკითხებით, შესაძლებელია ეს? ჩვენი მოსწავლეთა სიღარიბე საარაკოა; ეს არავისთვის არ არის საიდუმლო და რა გზით შესძლებთ ამ ფულის აღებას. დიდი საქმე იქნება, რომ 1000—1100 მოსწავლიდან თუ წლიური გადასახადი 50 მ. კვალობაზე 40—45 ათასი მ. აკრიბეთ, ხოლო დანარჩენ 25—30 ათას მანეთს შოვნა უნდა. უამისოთ გიმნაზიას არსებობა არ შეუძლია, და ჩვენ მზრუნველთ კი ჰგონიათ, რომ ეს საქმე მათ მოვალეობას არ შეადგენს, თუ მხედველობაში იმას არ მივიღებთ, რომ ათასში ერთხელ შეიკრიბებიან, მოილაპარაკებენ გიმნაზიის არსებობის ამა თუ იმ წყაროს აღმოჩენაზე, მერე დაიშლებიან და თავ-თავის საქმეს შეუდგებიან.

ასეთია საქმის ვითარება, და ეხლა მე გეკითხებით: შესაძლებელია ამ პირობებში გიმნაზიის ან არსებობა ან მართვა-გამგეობა?!

ყველა დამეთანხმება, რომ სწორედ ამნაირმა გამოურკვეველმა მდგომარეობამ მაიძულა უკვე ცნობილი განცხადება შემეტანა მზრუნველ კომიტეტში.

— ხან და ხან ისიც მგონია, სთქვა ბ-ნმა ოცხელმა, რომ იქნება კომიტეტს მე აღარ ვუნდივარ, იქნებ ჩემს მაგივრად სხვა კაცი რომ იდგეს გიმნაზიის სათავეში, მან (კომიტეტმა) მეტი ენერგია გამოიჩინოს გიმნაზიის არსებობისათვის საშუალებას გამოძებნაში. ჩემს განცხადებას ის აზრიც აქვს, რომ მზრუნველ კომიტეტს თავისუფლება მიეცეს: თუ ვუნდივარ, როგორც გიმნაზიის გამგე, მაშინ შესაფერ ზომებსაც მიიღებს, რომ საშუალების მხრით სასწავლებელი უზრუნველჰყოს და თუ სხვა კაცი უნდათ, ჩემის განცხადებით მათ გზა ფართო მიეცათ".

ამითი დაამთავრა ბ-მა ოცხელმა თავისი მოთხრობა.

P. S. ინციდენტი, რომლის შესახებ წინა წერილში მქონდა ლაპარაკი, მშვიდობიანად გათავდა: ბ-ნი ვ. წ. მიერ დასტამბული წერილის გამო, ავტორსა და სადგილ-მამულო ბანკის გამგეობის ორი წევრის შორის მოხდება სამედიატორო სამართალი, რომელიც გაარჩევს საქმეს და, გამოიტანს თავის მსჯავრს, რომელსაც ორივე მხარე უნდა დაემორჩილოს.

ძ. ქ. შ.

† ნინო ერქომაიშვილის ხსოვნას

დღეს სწორედ ერთი თვეა, რაც ქ. სოხუმში ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამ ქალაქში დიდად პატივცემული ნინო ერმილოზ თაყაიშვილის ასული ერქომაიშვილისა, და ამ უდროვო სიკვდილმა (32 წლისა იყო) დიდი მწუხარება გამოიწვია მის ნაცნობ-მეგობართა შორის. ან და ვინ არ იცნობდა აქ ამ პატიოსან და სათნო ადამიანს? იმ დროს, როდესაც ადამიანი თავის ვიწრო პირადულ ანგარიშებისა და ინტერესების ქერქში ეხვევა და „სხვათა ჭირი ღობეს ჩხირად მიაჩნია", როდესაც საზოგადო ასპარეზზე თითო-ოროლა მომუშავეს ეჭვის თვალით უყურებს უმეტესობა და მასთან ხშირად ბელზებელურ ხარხარით ისტუმრებენ, აი ამისთანა დროს რომ გხვდება ჩვენს დუხჭურ ცხოვრებაში თითო-ოროლა ნინოსთანა პატიოსანი, მხნე და მოძმის სიყვარულით გატაცებული ადამიანი—გულს ელხინება და სულს ეფინება; რწმენა და იმედი კი უკეთესს მომავლის შესახებ გულში ორკეცდება და ღვივის. ასეთ მადლიან ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა უდროოდ გარდაცვლილი ნინო ერქომაიშვილისა.

ის თითქოს თავისი პირადი ინტერესებისთვის არ იყო დაბადებული: მას სულ სხვისი გაჭირვება, სხვისი უმწეო მდგომარეობა აფიქრებდა და აწუხებდა, არაფერი ჰშურდა, რამდენადაც გარემოება მას ხელს უწყობდა, შემწეობა მიეცა თავის მოძმე გაჭირვებულისათვის. მისი დახმარებით არა ერთი და ათი დამდგარა ფეხზე, წელში გამართულა, მის მადლიან ხელის წყალობით არა ერთი და ათი სწავლას დაჰწაფებია და ცხოვრებასთან საბრძოლველად მომზადებულა. ხშირად, ძალიან ხშირად, მისი სადგომის ნახევარი სიმართლისათვის დატანჯულთა სასარგებლოდ ციხეში მიჰქონდა. გამძვინვარებულ რეაქციის დროს არა ერთსა და ორს მისი წყალობით მყუდრო თავ-შესაფარი უპოვიათ. ერთის სიტყვით მთლიან სიყვარულად იყო ქცეული თავის წრეში, იმ წრეში, სადაც იგი მოქმედებდა.

კერძოდ თავის ცხოვრებაში, შინაურობაშიაც იყო ერთგული თავის ქმარ-შვილისა და წმინდათა-წმინდათ გახადა თავისი შვილების აღზრდა და სწორ გზაზე დაყენება, რისთვისაც არაფერს იშურებდა. ის სულ იმას სწუხდა და ვაგლახობდა, რომ უკუღმართ სკოლების წყალობით მისი შვილები მოკლებული იყვნენ ეროვნულს ნიადაგზე დამყარებულს სწავლა-აღზრდას, და სიხარულით ცას ეწეოდა, როცა სოხუმში დაარსდა ქართული სკოლა.

„ეხლა მაინც ვეღირსებით, რომ ჩვენმა შვილებმა ცოტათი მაინც შეითვისონ და დედის რძესავით შეირგონ დედა-ენაო"! მისი სულიერი სიძლიერის მკაფიო დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი: უკანასკნელი მისი თხოვნა ქმარსა და ნათესავთადმი ის იყო, რომ შემწეობა მიეცათ ბედით დაჩაგრულ უცხო ტომის ადამიანისათვის და „მისი გოგია" აღეზარდათ (ეს გოგია ღარიბი ბავშვია და მისი წყალობით სამოქალაქო სასწავლებლის მეხუთე კლასშია დღეს). „სანამდის ისწავლის, ასწავლეთ გოგიასაო"! იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

აი ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისეთი არა-ჩვეულებრივი პატივი სცა სოხუმის საზოგადოებამ ამ პატიოსან ადამიანის ნაშთს. აუარებელი გვირგვინი ამკობდა მის კუბოს; სხვათა შორის ყურადღებას იპყრობდა ცოცხალ-ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინები სოხუმის ქართულ სკოლის მოწაფეთა და ქალთა გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფეთა. მის კუბოზე გრძნობიერი სიტყვები წარმოსთქვეს: კნეინა მ. აჩბაბაძისამ, თ. ნ. თავდგირიძემ, გრ. ერქომაიშვილმა და მღვ. მამა ივანოვმა.

ასე გააცილა სოხუმის მცხოვრებლებმა უდროოდ დაკარგული ნინო ერქომაიშვილისა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო და სათნო ადამიანო, ნინო!

მამუთ-ბეი.

მოწერილი ამბები

გურია. მასა საზოგადოდ მთელს საქართველოში ნაკლებ განვითარებულია. ნაკლებ განვითარებულია ის გურიაშიაც. ხალხი თავის განუვითარებლობას იჩენს მრავალ ადგას. ამ ჟამად მან თავის განუვითარებლობა გამოიჩინა

III

— რა ვქენ, რად უთხარი, რად შემოვახვიე ჩემი ვარამი იმას! რად გავერიე ამ საქმეში, რატო პირველშივე საავადმყოფოში არ წავიყვანე და ეხლა კი ერთის მაგიერ ორ-ორი გაუხადე საზრუნველად, ხელების მტვრევით იძახდა ყმაწვილი ქალი და თვალებიდან ცრემლების ნაკადული სდიოდა. მაგრამ გული მეუბნებოდა მივდობოდი, მეთქვა ჩემი გაჭირვება. ის ისეთი კეთილია, ისე სინიდისიერად უვლის ამ ავადმყოფს, სამი კვირაა დღეში ორჯელ მოდის, მთელს თავის ცოდნას, გამოცდილობას ზედ ახმარებს, მეც ისე სიბრალულით, მეგობრულად მექცევა. „დედა თქვენიო", თურმე დედა ჩემი ჰგონებია და ერთხელ იმიტომაც არ მკითხა ჩემი გვარი და სახელი.... იმის სახელი მეც ხომ არ ვიცი, გვარი კი მშვენიერი აქვს, პოეტური—„ვარდიშვილი"! სახელად ნეტა რა ჰქვიან? რეცეპტზე სახელის პირველი ასოს სწერს. სოლომონ? სვიმონ? სტეფანე? სერგეი?—ნეტა სოლომონი ერქვას. რა საშინლად შეჰფერის იმის წყნარს, ტკბილს, დარბაისელ შეხედულობას. რა გვარის ლმობიერებით არიან სავსენი იმისი შავი თვალები, მაღალი შუბლი! მე კი ექიმები ქვის გულისანი მეგონა, მეგონა საკმარისი იყო, კაცი ექიმი ყოფილიყო, რომ ყოველი ადამიანური გრძნობა იმაში დახშული იქნებოდა. რა შემცდარი აზრია! ექიმი, სამაგიეროდ, ყველაზე კაცთმოყვარე, ყველაზე მგრძნობიერი, ყველაზე სათნო უნდა იყოს. ვარდიშვილი სწორედ ამისთანაც არის. ცია, მაგრამ რაღაც ღვთაებრივი ბეჭედი აზის, პირველსავე შეხედვაზე გწამს, რომ ეს იმ ადამიანთაგანია, რომელთაც მთელი კაცობრიობა თავის საკუთარ სხეულად მიაჩნიათ და მთელის კაცობრიობის ტკივილით იტანჯებიან, მთელ თავის სიცოცხლეში ამ ტკივილის შემსუბუქების საქმეს ემსახურებიან.

— ნეტა სად წავიდა? რას მოგვიტანს? რითი გვანუგეშებს ორ უბედურ დედა-კაცს? ამ სიტყვებით ყმაწვილი ქალი ავადმყოფს მიუახლოვდა და გულმტკივნეულად ხელი გადუსვა შუბლზე.

„ნეტა მეც შენსავით უგრძნობლად ვიყვე და სირცხვილი არა მწვავდეს, რომ სხვის ბარგად გავხდი, რომ სხვას შემოვახვიე ჩემი სიღატაკე! შენთვის მინდოდა შვება მომეცა, მომევლო, მეპატრონა და ის კი არა, მეც დავეცი, მათხოვარა გავხდი, სხვის ხელში შემაყურალი!"

ავადმყოფმა უცებ თვალები გაალო და მუდარებით შეაჩერა ყმაწვილ ქალს: „მაპატიე"—ოდნავ წაიჩურჩულა მისმა მისუსტებულმა ტუჩებმა და ისევ მძიმედ დაეხუჭა თვალის კილოები.

— კნეინა, ერთი ხმა კიდევ გამეც, ერთი?!—ხვეწნითა და სიხარულით ჩასჩურჩულებდა ყმაწვილი ქალი ავადმყოფს და სიხარულით ხელებს იმტვრევდა:

— მადლობა შენთვის ღმერთო, მადლობა შენთვის, რომ გამობრუნდა, ჩემი შრომა დაფასდა, ტყუილად არ ჩაიარა!

— ბატონო, ნუ ელაპარაკებით, ნუ აწუხებთ ავადმყოფს! მაგისთვის ეხლა მხოლოდ სიმშვიდე და მოსვენება საჭირო.

დაბალისა და ალერსიანის ხმით უთხრა ყმაწვილ ქალს ექიმმა, რომელიც ოთახში შეუმჩნევლად შემოვიდა კალათით და რამდენიმე ქაღალდის პარკით დატვირთული.

— ოხ, თქვენ მოსულხართ კიდეც! ღმერთო ჩემო, რა არის მაგდენი რაგინდარა, მთელი ბაზარი მოგიტანიათ ჩვენთვის!

— დიახ ბატონო, ვეცადე ყოველისფერი მეშოვნა, რაც კი საჭირო იყო ორი ავადმყოფ ქალის გამოსაბრუნებლად და ჩემი მეცადინეობა მით უფრო მხურვალე იყო, რომ მსურდა მეც თქვენი სტუმარი ვყოფილიყავ ამ ბედნიერ საღამოს. თანახმა ხართ მიწვიოთ, ბატონო?.. თქვენი სახელი... მიბრძანეთ.—და მოლოდინში ექიმი დარცხვენილი ყმაწვილივით თავჩაღუნული იდგა ქალის წინ.

— მე დარია მქვიან, თქვენ? თავჩაღუნითვე ჰკითხა მან.

— მე, სოლიკო, სოლომონ.

— სოლიკო! სოლომონ?!. — და თან დარიას პირზე კმაყოფილების ღიმილმა გაუარა.

— რად გაცინებთ ჩემი სახელი? არ მოგწონთ? ტლანქად გეჩვენებათ?..

— სულაც არა, პირიქით ძრიელ მამწონს, მე იმაზე გამეცინა, რომ საშინლად მინდოდა, რომ თქვენ ეგ სახელი გრქმეოდათ და სურვილი ამისრულდა.

— მადლობა ღმერთს! მეც თქვენი სახელით აღტაცებული ვარ და გვარიც ძლიერ მამეწონება, თუ მეტყვით.

— მოგეწონებათ?! არა მგონია. „აზნაურთვი" გახლავართ; მეტადრე დაბოლოვება, სასაკილო არ არის ქართველი გვარისათვის?

— საუცხოვო გვარია და თითქო უხდება კიდეც თქვენს კეთილ-შობილებით სავსე არსებას.

— კმარა, კმარა, ბატონო ექიმო, თორემ ჩვენ ერთმანეთს, მემგონი, გაუთავებელ ქება-დიდებას მიუძღვნით.

— დიაღ, ჩვენ მთელი სამი კვირა ერთად ვართ, ერთს საქმეს ვემსახურებით, ერთის აზრითა ვართ გამსჭვალული, ერთმანეთს თანაუგრძნობთ და ერთმანეთისთვის კი სამი კვირის განმავლობაში სამი სიტყვა არ გვითქვამს. რასაკვირველია, ამდენის ხნის მარხვას შესაფერი გახსნილებაც უნდა მოსდევდეს. მართლა, რაკი გახსნილებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი! აი ამ ბოთლში ცივი ბულიონი გახლავთ, გავათბოთ და ერთი ჭიქა მაინც გადაყლაპეთ. თქვენის სისუსტისთვის ეს ყველას ემჯობინება. აი წითელი ღვინოც, ცოტაოდენი ესეც უნდა გადაყლაპოთ. შემდეგ თქვენ წაბრძანდებით თქვენს ოთახში დასასვენებლად და თქვენ ალაგს ავადმყოფთან მე დავიჭერ.

— ბატონო, სოლომონ! თქვენ ძლიერ მანებივრებთ; მე ნებივრობას შეჩვეული არა ვარ. ცოტა-უძილობამ და შიმშილმა დამაძაბუნა, მაგრამ შევჭამ თუ არა თქვენ მოტანილ ლუკმას, ისევ გავყოჩაღდები და ავადმყოფთან ჩემს ალაგს დავიჭერ, თქვენ ნუ შესწუხდებით. მე ოთახი აღარა მაქვს, სახლის პატრონმა მირჩია მეც აქ გადმოვსახლებულიყავ, რადგანაც ორი ოთახის ქირის დაკარგვას, მარტო ერთისა ამჯობინა.

— არა უშავსრა, ამ დღესასწაულებს შემდეგ ისევ შეუდგები ჩემ საქმეს და მალე გაგისწორებ დროებით არეულ საქმეებს. ახლა კი ვიახშმოთ, ბატონო სტუმარ-მასპინძელო!

დარომ საჩქაროდ გაშალა სუფრა, ამოალაგა ექიმის მონატანი და რამდენსაც ალაგებდა, იმდენი სირცხვილის ალი ასდიოდა პირ-სახეზე; რა არ მოეტანა ბატონ ექიმს: ხილი, კამფეტი, რამდენიმე ძვირფასი შემწვარი, ნამცხვარი, ტკბილი სასმელები, დაბრაწული პურები!

— ოხ, რა რიგად ვსწუხვარ ამ ხარჯისთვის, ამოოხვრით სთქვა დარომ. რამდენი ფული დაგიხარჯავთ; ჩემთვის ყველა ეს სიუხვე შეუფერებელია, მე დაჩვეული არა ვარ ამ გვარ პირის ფერებს, ბავშვობითვე შეჩვეული ვარ მხოლოდ უსაჭიროეს და ყველა ეს ჩემთვის საჭიროებას არ შეადგენს.

— ბატონო, დარო, მაპატიეთ! ჩემი სურვილი ისე ძრიელი იყო, თქვენთვის მესიამოვნებინა, თქვენ მუდამ დაღვრემილ პირისახეზე ღიმილი დამენახა, რომ პატარა ხანს მაინც ბავშვად წარმოგიდგინეთ და ამ დღესასწაულ საღამოს საკვლეულიც მოგიტანეთ. კვლავ, როდესაც თქვენს გემოვნებას უკეთ შევისწავლი, ასე თავხედად აღარ მოვიქცევი.

— მე თითონ ძრიელ მიყვარს ხელ მოჭერილი ცხოვრება, მით უმეტეს, რომ ხელ-გაშლილი ცხოვრებისთვის არც მაქვს შეძლება! მაგრამ დღეს ყველაფერი დამავიწყდა და მხოლოდ ჩვენი მეგობრობის ნიშნად, შევექცეთ ამ გემრიელ, კაცის საფუფუნებლად მოგონილ საჭმელებს. ზოგჯერ იმისთანა გარემოება შეემთხვევა კაცს, რომ უთუოდ უნდა გაბედოვლათდეს; მე დღეს მსურს ისეთი ბედოვლათი ვიყვე, ისეთი, რომ მთელი ქვეყნიერების სიმდიდრე, სიმშვენიერე, აქ თქვენ წინ გადმოვშალო, თქვენ გიძღვნათ, ფიანდაზად გაგიშალოთ.

— ბატონო ექიმო! თქვენის ლაპარაკით მაშინებთ და ხელს მიკრავთ თავისუფლად, მეგობრულად მიგიღოთ.

— მაპატიეთ, კიდევ გთხოვთ, მაპატიეთ! ეს სულ ამ სამი კვირის მარხულობის ბრალია; რამდენჯერ მინდოდა თქვენთან ბაასი, თქვენი დაახლოვება, მაგრამ თქვენ ისე მიყურებდით, როგორც ექიმს და თქვენის მოკლე პასუხებით მხოლოდ ავადმყოფობის მსვლელობის შესახებ, მისპობდით ყოველ-გვარ დაახლოვების სურვილს. ეხლა, როცა ჩვენი ავადმყოფი კარგად არის, რაღა გვიშლის ერთმანეთი გავიცნოთ, ჩვენი აზრი და შეხედულობა განუზიაროთ ერთმანეთს. მაგრამ თქვენ ჯერ ისე დაღალული ხართ, ჯერ მოსვენება გნებავთ, საზრდოება... მე ეხლავე წავალ... აღარ შეგაწუხებთ... თუ კნეინა ნინოს გაეღვიძოს, უთუოდ რამდენიმე კოვზი თბილი ბულიონი ჩაასხით, თუ მოახერხოთ, ორიოდ კოვზი წითელი ღვინოც, წყალ-დარეული.

— ავასრულებ ყოველ თქვენ ბრძანებას, — თავ-ჩაღუნვით უთხრა დარიამ და ხელი გაუწოდა:

— ხვალამდინ, ბატონო დარია!

— ხვალამდინ, ბატონო სოლი... სოლომონ...

— დაასრულეთ, დაასრულეთ ჩემი შემოკლებული სახელი! რომ იცოდეთ, რა რიგად მინდა რომ თქვენ სოლიკოს მეძახდეთ!—ხმის კანკალით შეჰყვირა ექიმმა და ყმაწვილ ქალს ხელზე აკოცა.

— წადით, წადით... თორემ ძრიელ გამაჯავრებთ!—საშინელის ღელვებით უთხრა დარიამ ვარდიშვილს.

— ვემორჩილები თქვენს ბრძანებას, ჩემო ბატონო, დარო, მაგრამ ბევრი რამ კი მქონდა სათქმელი...

— კვლავ, კვლავ, დღეს არ შემიძლიან, თავსბრუ მესხმის. წადით... თუ ცოტაოდნად პატივსა მცემთ...

ექ. გაბაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

აბრეშუმის თესლის ყიდვის დროს. ყიდულობს ისეთს აბრეშუმის თესლს, რომლის სიავ-კარგეში თითონაც არ არის დარწმუნებული.

„თუ კაცს ბედი აქვს ცუდი, აბრეშუმის თესლი რომ შეიძინოს მაინც ბევრი მოუვაო",—ამბობენ გურული მეაბრეშუმე ქალები. თესლს მაშინ ყიდულობენ, როდესაც გაიაფდება. იაფ-ფასიანობისას კი აბრეშუმის თესლი მეტად მდარე ხარისხისაა. ყოველივე ამაში მთლად ხალხიც არ არის დამნაშავე. დამნაშავეა აგრეთვე „პროვინციალური" ინტელიგენტებიც. ხალხს საიდან ეცოდინება, აბრეშუმის თესლი რომელი ცუდია და—რომელი სადი. ჩარჩის მეტი მას არავინ არ ეუბნება: ეს იყიდე, ეს არის კარგიო. ჩარჩი კი თავისებურად აჯერებს მას და უვარგის თესლს ასაღებს.

ამ ჟამად მთელი გურიის დაბა-სოფლები გავსებულია აბრეშუმის თესლის მოვაჭრეებით. აბრეშუმის თესლით ვაჭრობა იმდენად სარგებლიანი გამოდგა, რომ დღეს მიკიტანი თუ მეთევზე ამით ვაჭრობს. იმდენი ჯურის აბრეშუმის თესლია, რომ ერთი საათის განმავლობაში ფირმის სახელებსაც კი ვერ ჩამოსთვლი. ეს მრავალნაირ ღირსების აბრეშუმის თესლები ზოგიერთებს ზურგზე ყუთით აკიდებული დააქვთ სოფლიდან სოფლად და ისე ავრცელებენ. პარასკეობით იმ საზოგადოების სტუმარნი არიან, რომელ საზოგადოებასაც პარასკევს ბაზრობა აქვს. ესენი ჩარჩები არიან და რადა გასაკვირველია, რომ ათასნაირი ხრიკები იხმარონ უვარგის თესლის გასასაღებლად. საბრალო ხალხი მოსტყუვდება ხოლმე ჩარჩების ტკბილ-ტკბილ სიტყვებით და იძენს მათგან უვარგის თესლს. ყოველივე ზემოდ თქმული ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელიც ჩვენში მეაბრეშუმეობას უნუგეშო მდგომარეობაში აყენებს. კავკასიის საიმპერატორო-სამეურნეო საზოგადოებას ერთი ადამიანი ჰყავს გამოგზავნილი დასავლეთ საქართველოში ბაზარზე აბრეშუმის თესლების შესამოწმებლად. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ ერთმა ადამიანმა, რაც უნდა დიდი ენერგიის პატრონი იყოს, ბაზრებიდან უვარგისი თესლი განდევნოს. ასეთ მხარეში, როგორც დასავლეთ საქართველოა, ერთი ადამიანი ვერაფერს გახდება. მართალია ბ-მა ი. ქუთათელაძემ უკვე აღმოაჩინა ერთი ფირმის აბრეშუმის თესლი, რომელიც ყოფილა პებრინით (ობით), გაფუჭებული, მაგრამ დარწმუნებული ვარ ასეთი აბრეშუმის თესლი კიდევ მრავალი სხვა ფირმისაც იქნება.

იბერი.

უცხოეთი

ოსმალეთი.

გუშინდელ დეპეშებში ნათქვამი გვქონდა, თუ როგორ გაძარცვეს იერუსალიმში ომარის მეჩეთი. ამ ამბავმა დიდი არეულობა გამოიწვია, როგორც ოსმალეთის პარლამენტში, ისე ხალხში. მეტადრე დიდი არეულობა მოხდა იერუსალიმში. არაბებმა გაიგეს თუ არა, რომ მეჩეთი გაძარცვესო, მაშინვე დემონსტრაციები მოახდინეს. ომარის მეჩეთი, მაჰმადიანებისა და ებრაელების ორივე ხალხის სწამთ, რომ აბრაამმა მსხვერპლი აქ ალაგას შესწირაო. ამიტომ იყო, რომ ოსმალეთის მთავრობა ამ მეჩეთთან არქეოლოგიურ მიზნებისათვის თხრის ნებას არ აძლევდა. არაბებმა მეჩეთის გაძარცვაში გაამტყუნა იერუსალიმის ფაშა, მთელი მთავრობა და სულთანი. დემონსტრაციებზე ხალხი ყვიროდა, არ გვინდა სულთანი, ჯარი და მთავრობაო. მანიფესტანტები ჯარმა გაჰფანტა. არაბებმა საპროტესტო დეპეშები გაუგზავნეს სტამბოლის მთავრობას. რითი გათავდება საქმე ჯერ არ იციან. ეშინიანთ მისი გართულებისა. გადაწყვეტილია, რომ ხალხის დასამშვიდებლად იერუსალიმის ფაშა გადააყენონ.

რუსეთი

პრიამურის გენერალ-გუბერნატორის აზრი ჩინეთ-რუსეთის დამოკიდებულებაზე.

„რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტს პრიამურის გენერალ-გუბერნატორთან უსაუბრია და გენერალ-გუბერნატორს თავის აზრი ასე გამოუთქვამს:

„შორეულ აღმოსავლეთში საქმის მდგომარეობა ეხლა ისეთია, რომ იგი რუსეთისათვის ერთი უდიდესი საპოლიტიკო საკითხია. ჩინეთს მუდამ შეუძლიან რამე შემთხვევითი საქმე აგვიტეხოს. ნაციონალური გრძნობა ჩინეთში ძალიან გაღვივდა. ამ ნიადაგზეა ეხლა გაცხარებული ნეოდინასტიური მოძრაობა. ამით აიხსნება ის შინაური მოძრაობა, რომელიც ეხლა მთელს ჩინეთს მოედო. ამასთან ერთად ჩინელებში იაპონელებისა და ევროპიელების მიმართ სიძულვილი იზრდება. ჩემი ფიქრით, უთქვამს გონდატტის—შესაძლებელია, რომ ეს მოძრაობა ბოქსიორთა მოძრაობად იქცეს. ჩინეთის მიერ მიცემულმა რუსეთის ულტიმატუმის პასუხმა საქმეთა ვითარება ვერ შესცვალა. ხოლო ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ ჩინეთი პრაქტიკულად როგორ შეასრულებს თავის დაპირებას. ამ მხრით კი საქმე ცუდათაა. რუსის მოსახლეობა დღევანდლამდე უკმაყოფილოა. უთანხმოება შეიძლება ხელ-ახლად ჩამოვარდეს და ამ უთანხმოებას ჩინეთის გამოღვიძება გამოიწვევს. ის ხმები, ვითომც პარიზში ჩინეთის დაყოფის თაობაზე კონფერენცია მოეხდინათო, ტყუილია. ამ ხმის გავრცელება მხოლოდ საავიტაციო ხრიკი იყო, მიზანი კი ის, რომ ხალხი ევროპიელთა საწინააღმდეგოდ აემხედრებინათ. ამჟამად ჩინეთში დიდი ძალი იარაღი შეაქვთ. აღმოსავლეთ-ჩინეთის გზა ეხლა მხოლოდ იარაღსა და სამხედრო სურსათს ეზიდება. ვალის შესახებ გონდატტის უთქვამს: ვალის ერთი ნაწილი ჩინელებზე უკვე აიღეს, ჩვენთვის ეხლა მხოლოდ ის არის საინტერესო, თუ რას მოხმარდება ეს ფული. თუ იგი ჩინეთის გაძლიერებასა და მანჯურიის გამაგრებას მოხმარდება, მაშინ ჩვენთვის, რუსებისთვის, ძალიან საზარალო იქნება.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აპრილი.

საზღვარ-გარედ.

რომი. ალბანელი ივანეი-ბეი, რომელიც ალბანელთა სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდა, მთავრობამ იტალიიდან გაიძევა.

სალონიკი. სმირნიდან, მონასტირიდან და ბეირუთიდან ამბავი მოდის, რომ იქ ჯავიდის გადაყენების საპროტესტო დემონსტრაციები იმართებაო. თურღუთ-ფაშამ სკუტარიაში ალბანელებს პროკლამაციებით მიჰმართა და უთხრა, იარაღი დაჰყარეთ და რვა მეთაურის გარდა, ყველას გაპატიებთო.

ელბაზო. აჯანყებულნი ხუარატის საბაჟოში ჩასაფრდნენ. ხიდები და ქუჩები დახოცილთა და დაჭრილთა გვამებითაა სავსე. მადერომ განაცხადა, თავ-დასხმა ჩემდა უნებურად მოხდაო.

ჰამბურგი. ლონდონიდან კერძო ცნობები მოდის, ვითომც მაროკოში შერიგება მომხდარიყოს.

ტოკიო. იაპონური გაზეთები რუსოფილურ მიმართულებას ადგებიან. რუსეთ-იაპონიის დაახლოვება ჰსურთ, თუნდაც ამას საერთაშორისო საქმეთა გართულება დასჭირდეს.

იამაკატა (იაპონია). ქალაქი იწვის. ცეცხლმა 1.000 სახლი გაანადგურა. ამათ რიცხვში მოჰყვა პრეფექტურა, რამდენიმე ბანკი, სკოლები და სასამართლო.

სტამბოლი. ფინანსთა მინისტრად სახალხო განათლების მინისტრად ნამყოფი ნაილ-ბეი დაინიშნა.

შანჰაი. ხანკოუში ბრინჯით მოვაჭრეებმა ბრინჯის ფასის დაკლებაზე უარი სთქვეს. ამის თაობაზე, 23 აპრილს, ხალხმა ბრინჯის 20 მაღაზია და მანდარინების რამდენიმე სახლი დაანგრია. პოლიციამ ხალხს განუცხადა, დატუსაღებულებს არ განვათავისუფლებთო; ამით გაბრაზებული ხალხი პოლიციის და სასამართლოს შენობებს თავს დაესხა. შეტაკებაში რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა.

რუსეთი

რიგა. სამხედრო სასამართლომ ტუკუმის აჯანყებაში მონაწილეების მიღებისათვის ერთს 4 წლით, მეორეს 10 წლით კატორღა მიუსაჯა. ორი გამართლდა.

პეტერბურგი. სამეცნიერო აკადემიამ შუამდგომლობა აღძრა, რომ ოთხი წლის განმავლობაში, ყოველ წლივ ხაზინამ 12.000 მან. გადასდოს რუსეთში რადიოაქტიურ მადნების საძებნელად.

ვლადივოსტოკი. მოვიდა სამხედრო მინისტრი, რომელსაც ჯარების უფროსი და ჩინეთის გზის მართველი თან ახლავს.

სამხედრო სასამართლოში დაიწყო იმ პირთა საქმის გარჩევა, რომელთაც ციხის აშენების დროს ბოროტი-მოქმედება ჰბრალდება. საქმე სენატორმა გლიშჩინსკიმ აღძრა. კაპიტან რიბინსკის ოთხი თვით დატუსაღება მიუსაჯეს.

პეტერბურგი. სათათბიროს კომისიამ, რომელსაც ადგილობრივ თვით-მმართველობის საქმე აქვს ჩაბარებული, შეიმუშავა საერობო დებულებათა სისრულეში მოყვანის კანონ-პროექტი.

მაკარიე. დაიწვა სადურგლო ცეხი. ცეცხლმა გაანადგურა მანქანები, ძვირფასი მასალა და საცხოვრებელი სახლი. ზარალი 150.000 მ. მეტია.

ხარკოვი. შუშხუნების მასალის საწყობში აფეთქება მოხდა, საწყობს ცეცხლი წაეკიდა. ხუთი კაცი დაიღუპა.

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრმა შეიმუშავა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც კბილის საექიმო სასწავლებლები სახალხო განათლების სამინისტროს უნდა დაექვემდებაროს.

6 მაისს ბეჭდვითი საქმის სამმართველომ იმ გამოცემათა გამოფენას გამართავს, რომლებიც 1910 წ. გამოიცა.

ფრენა

მერზებურგი. ავიატორი კასპარი ჰაეროპლანით შორს გაფრინდა. ფრენის დროს აპარატი ჩამოვარდა და დაილეწა. ავიატორს ფეხები დაემსხვრა.

პეტერბურგი. გატჩინის აეროდრომზე შტაბს-კაპიტანი გარშკოვი ფორმანის აეროპლანით 300 ადლის სიმაღლეზე აფრინდა. მან ჰაერში 18 წუთს დაჰყო. ინჟინერმა გაკელმა თავის ჰაეროპლანით მთელი ერთი საათი იფრინა.

თეატრი და ხელოვნება

ბირჟის დარბაზში საზოგადო კლუბის წევრები 30 აპრილს წარმოდგენას გამართავენ. წარმოდგენილი იქნება ზუდერმანის „პეპლების ბრძოლა".

სომხის მსახიობი სეუმიანი სახალხო სახლთან არსებულ სომხურ სექციამ რამდენიმე გასტროლისათვის მოიწვია.

სეუმიანი ბაქოს საზოგადოებას მიუწვევია, რათა იქ 14 მაისს შირვანზადეს საიუბილეო საღამო მოაწყოს. დადგმული იქნება შირვან-ზადეს პიესა „ნამუსისთვის" და შემდეგ აპოთეოზი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას ვაცნობოთ შემდეგი:

მონსის (ბელგია) ქართველთა საზოგადოება სრულებით უსასყიდლოდ იძლევა შემდეგ დაწვრილებით ცნობებს: 1) ეკონომიურ პირობებს, როგორც ბელგიის, ისე საფრანგეთის სხვა და სხვა ქალაქებში საცხოვრებლად, 2) პირობებს ბელგიისა და საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად და უფასოდვე ჰგზავნის თვით ამ სასწავლებლების პროგრამებს.

მისამართი: Monsieur Mansvetachvily, 18, Place Warocque, 18, Institut Commercial (Begique), Mons.

ამხანაგების მინდობილებით **გ. ბლიშბაია, ა. მანსვეტაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ თქვენს გაზეთში შემდეგი: ამა 1911 წლის მარტის 28 დღესა, საღამოთი ექვსი შეიარაღებული უცნობი მიუცვივდნენ ჩვენს პატივცემულს მოძღვარს ა. ლ. ეპიტაშვილს და, როგორც თქვენს გაზეთში იყო მოხსენებული, შეურაცხყოფა მიაყენეს მას, რომელსაც დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ჩვენის საზოგადოების წინაშე. მან თავისი მეცადინეობით დაგვიარსა ქსენონი, სამკითხველო, გაახსნევინა 1903 წლიდან დაკეტილი ჩვენი სამინისტრო სასწავლებელი, რომლის სასარგებლოდაც დირექციისაგან გამოითხოვა 770 მანეთი, და ამ მოკლე ხანში გაგვიხსნა ამხანაგობა წვრილი კრედიტისა. ყოველი გაჭირვებული წევრი ჩვენის საზოგადოებისა მხოლოდ მისგან ვიყავით გამხნევებული და მისგანვე მოველით შველას და დარიგებას, რომელიც დაუღალავად მუშაობს ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ. არა თუ მრევლი მისი, არამედ მთელი საზოგადოება სოფლის მარტყოფისა, რომელსაც შეადგენს ოთხი სამრევლო, ზიზღს უცხადებს იმ ბოროტ-მოქმედთ, რომელთაც მას მიუგზავნეს შეურაცმყოფელნი და ვზღებთ ფიცს, რომ, რომელსაც კი დაუმტკიცდება ამ საზიზღარი საქციელის ჩადენა, ჩვენი საზოგადოება დაადგენს განაჩენს და ვიშუამდგომლებთ, სადაც ჯერ არს, განდევნილნი იქმნენ ჩვენი საზოგადოებიდან, როგორც მავნებელნი წევრნი და დაუძინებელნი მტერნი საზოგადოებისა. მთელი საზოგადოება აღშფოთებულია ამ საზიზღარი საქციელით და ყოველს ღონის-ძიებას ხმარობს ბოროტ-მოქმედთა აღმოსაჩენად.

საზოგადოების მინდობილებით მზრუნველნი მარტყოფის საზოგადოებისა: 1. **გიორგი ხიდამონიძე**, 2. **ესტატე მაჭავარიანი**, 3. **იაკობ ეპიტაშვილი**, 4. **სოლომონ მათიაშვილი**, რომლის თხოვნით ხელს ვაწერ **გრიგოლ ნაცროზაშვილი.**

ისევ ბ-ნ შინს.

ვინაიდან თქვენ ჩვენ მომართვაზე პირდაპირი პასუხი არ მოგვეცით და არც შეგეძლოთ მოგეცათ („კოდის პურის" შესახებ), და ნაცვლად ამისა რაღაც დარიგებას გვიკითხავთ, ამისათვის თქვენი პირველი წერილი ჩვენ მიგვაჩნია ღვარძლის თესვად. ჩემდამი მომართულს პასუხში თქვენა ბრძანებთ, რომ კოდის პურის შეგროვება ისეთი ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ყველა ჩვენგანმა იცისო, და გასაკვირველი არა არის რაო. საქმეც მაგაშია გახლავთ, რომ ჩვეულებრივს ამბავზე თქვენ ისე სწერთ, როგორც დანაშაულობაზე.

თუმცა თქვენი წერილი დასაბუთებული არ არის, მაგრამ მაინც გვაიძულებთ, თქვენი სიტყვებით დავკმაყოფილეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გვემუქრებით, ასე და ისე ვიზამთო. ინებეთ. მუქარისა არ გვეშინიან.

ყოველივე განცხადებული ნათელ-არსო, ნათქვამია, მაგრამ ის კი საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ვიცოდეთ, ვინა გვდებს ბრალსა. ამიტომ ურიგო არ იქნება, თუ ფსევდონიმს აიხსნით.

ს. მეჯვრისხევის წმ. გიორგის ეკლ. მღვდ. **ს. გამრეკელი.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ ამასწინად გაზეთ „ბათუმის მოამბეში" დაბეჭდილი წერილი ბ-ნის ბახვლისა ქუთაისის არტისტებისა და გამგეობის მოღვაწეობის შესახებ, მე არ მეკუთვნის. სრული დარწმუნებული ვარ ბ-ნი რედაქტორი „ბათუმის მოამბისა *), თუ თავის გაზეთში არა, თქვენი გაზეთის საშუალებით მაინც დამიმოწმებს ამ ჩემს სიმართლეს.

ვანო ბალანჩივაძე.

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ „სახალხო გაზეთი"-ს მე-187 ნომერში მოლითიდან მოთავსებული ბ-ნ გაველის კორესპონდენცია, ადგილობრივ ორ-კლასიან სამინისტრო სკოლის შესახებ, მე არ მეკუთვნის. **)

მასწ. მიხ. დეკანოსიძე.

სპორტი

ფრანგული ჭიდაობა.

26 აპრილს 5 წყვილი ჭიდაობდა. ძლიერ საინტერესო იყო მილლერისა და ვახტუროვის ჭიდაობა, რომელმაც ამ საღამოს ნიღაბი აიხსნა. 38 წუთის ჭიდაობის შემდეგ ვახტუროვმა მილლერი „ხიდზე" მიიქცია და გადააბრუნა.

შემდეგ ბულმა შვეიცარულ ჭიდაობაში ადვილად წააქცია ჩორნი. წითელმა ნიღაბმა წელში შევარდნით არვიდმაიერი დაამარცხა. ბელოუსს, შემიაკინის ავადმყოფობის გამო მალე ეჭიდა. რასაკვირველია ბელოუსმა აჯობა. გუბერისა და რუსაკოვის ჭიდაობა მალე დასრულდა პირველის დამარცხებით.

---

*) მგონი იშვიათად გამოდის ეხლა „ბათ. მოამბე". წერილი გავგზავნე, მაგრამ გაზეთს ვერ ვხედავ. ამისათვის მოგმართეთ თქვენ, ბ-ნო რედაქტორო!

**) გამოცხადებთ, რომ ზემოხსენებული კორესპონდენცია მასწავ. მიხ. დეკანოსიძეს არ ეკუთვნის. რედ.

გამოსადეგი ცნობა

ტფილისის ბირჟა

20 აპრილი.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

სარგებლიან ქაღალდების ფასები:

4% სახ. რენტა	94½
5% გირ. ფ. სათ.-აზ. სახ. ს.-მამ. ბანკ.	99⅞
4% " " " "	90⅝
3½% " " " "	86
5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ.	87½
4½% " " " "	—
5% " ქუთ. მიხ. თ.-აზ. ბანკ.	84¼
5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. სახ.	—
4½% " " "	—
5% I მოგებ. ბილეთ.	467
5% II " "	385
5% III " "	336

სანოვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:

მატყლი ერევნული	—
ბამბა ქუთათური	—
აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ.	55—56
ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი	6 "
ჭიათ. შავი-ქვა (გარეცხილი	7 "
ყველი ქართული	7—8 მ.50 კ.
თხილი ზაქათალისა	3 მ. 35 კ.
ღვინო კახური	3 მ. 20 კ.-დან 4 მ.
შაქარი (თავისა	3 მ. 20 კ.-დან 4 მ.
შაქარი (ფხვიერი	4 მ. 20 კ.
ხორბალი	1 მ. 20 კ.-დან 1 მ 30 კ.
ქერი	—
სიმინდი	70 კ.-დან 80 კ.

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აპეტიანანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან: და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმაცი: 6—8 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
თ. ვ. გეფსკაია-ენგელი: [illegible] ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. ჯარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავახარდიანი.
(წ. (1163—24)

მუხრანის კერძო
სამკურნალო
გაიხსნა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახმახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.
გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
კ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით, დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—65)

„სამპსონინი"
თმებისათვის
საპონი ექ. დიდიძისა
იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).
(წლ.—1152—20)

გაიხსნა ახალი ღვინის სავაჭრო
ამხანაგობა
„კომეტა"
ლორის-მელიქოვის ქუჩა, პუშკინის ბაღის პირდაპირ, სახლი ზუბალაშვილისა, № 6.
გვაქვს ნამდვილი შუა გულ კახეთის ღვინოები ყველა საუკეთესო ზვრებიდან.
ჩვენ გვსურს ყოველს ჩვენგან მყიდველს დავალევინოთ ნამდვილი ყურძნის წვენის ღვინო ხელ-მისაწვდენ ფასებში.

* ბოთლი 15 კაპ.	*** ბოთლი 25 კაპ.
** " 20 კაპ.	**** " 30 კაპ.
	***** — 40 კაპ.

გარდა ამისა მომეტებული ნომერი ერთ მანეთამდის.
ვინც ვედრობით იყიდის ღირებული პროცენტი დაეთმობათ.
პატივისცემით ამხანაგობა.
(10—1234—3)

ძმ.
მეგველიძეების
თევზით მრეწველთა
საწყობი
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ
ჩვენ საწყობს
განყოფილებები
არა აქვს.
ერთად-ერთი ვაჭრობა მხოლოდ ქ. ტფილისშია, პუშკინის ქუჩაზე, სახლი № 9. ტელეფონი № 712.
პატივისცემით ძმ. მეგველიძეები.
(წ.—1053—3)

მელითოვის კუნძული სტამბა „ხორავანი"
რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი